უფერული თამაში

თბილისელებს მოენატრათ ფეხბურთი. ოსტატების აზრიანი, ტემპიანი თამაში. ამიტომ იყო, რომ 2 ნოემბერს თბილისისა და ერევნის "დინამოს" ოსტატთა გუნდების ამხანაგურ შეხვედრაზე თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონი მაყურებლებით აივსო.

შეხვედრის დასაწყისში თბილისელებს შესაძლებლობა ჰქონდათ ანგარიში გაეხსნათ, მაგრამ თავდამსხმელთა დაუფიქრებლობისა და უპასუხისმგებლობის წყალობით წარმატებას ვერ მიაღწიეს. სტუმრებმა თანდათან ხელში ჩაიგდეს ინიციატივა და თამაშის პირველი ნახევრის ბოლოს მოწინააღმდეგის კარში ერთი ბურთი გაიტანეს.

შეხვედრის მეორე ნახევარი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ სტუმრები მეტი აღმავლობით და გამარჯვებისადმი სწრაფვით თამაშობდნენ. თბილისელებმა კვლავ რამდენჯერმე დაკარგეს ბურთის გატანის შესაძლებლობა, თავი "გამოიჩინეს" კარში არაზუსტი დარტყმებით. 90–ე წუთზე ერევნის გუნდი მეკარის უხეში თამაშის გამო დაჯარიმდა 11–მეტრიანი დარტყმით და ა. ღოღობერიძემ ანგარიში გაათანაბრა.

მატჩი თბილისის დინამოელებმა დაბალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს.

5 ნოემბერი, 1952 წ.